თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №2
17 იანვარი, 2017 წელი
ქ. თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან დასაფინანსებელი პრიორიტეტული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 16-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის №249 დადგენილებისა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე

მუხლი 1.
მოწონებული იქნეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან დასაფინანსებელი პრიორიტეტული საპროექტო წინადადებები დანართის შესაბამისად.
მუხლი 2.
დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ამ განკარგულებისა და მოწონებული სამუშაოების პროექტების წარდგენა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.
მუხლი 3.
განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
მუხლი 4.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე
საკრებულოს თავმჯდომარე

მუნიციპალიტეტი MUNICIPALITY TETRIS-SKARO 230869254

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

№	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ.შ. თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	დაბა მანგლისში გვრიტიშვილის, გურამიშვილის, დემეტრაშვილის, თამარ მეფის ქუჩების სრულად და იოანე მანგლელის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მაგისტრალურ საკანალიზაციო ქსელზე დაერთების სამუშაოები	403 060	382 907	20 153	15,05. 2018 – 15,09,2018	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია 2017 წელს, გავლილი აქვს ექსპერტიზა

გიორგი ქორიძე
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

№	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ.შ. თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	ქ.თეთრიწყაროში ჭავჭავაძის ქუჩისა და ჩიხის რეაბილიტაცია	241 589	229 510	12 079	01,06,2018 – 01,08. 2018	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია 2017 წელს

გიორგი ქორიძე
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

№	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ.შ. თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	ქ.თეთრიწყაროში თამარ მეფის #34-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	297 886	282 992	14 894	01,06,2018 – 01,09,2018	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია 2014 წელს

გიორგი ქორიძე
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

№	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ.შ. თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	ქ.თეთრიწყაროში სამშვილდის ტყე-პარკის რეაბილიტაცია	90 251	85 738	4 513	01,05,2018 – 01,07,2018	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია 2015 წელს

გიორგი ქორიძე
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი